



ავტორიზებულია 2013 წელს

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	საშემსრულებლო - შემოქმედებით ხელოვნება • დრამის რეჟისურა; • თოჯინების თეატრის რეჟისურა.
განათლების საფეხური	უმაღლესი განათლების მეორე საფეხური/მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	თეატრალური ხელოვნების მაგისტრი MASTER OF THEATRE ARTS
პროგრამის მოცულობა ECTS	120 კრედიტი: 1 კრედიტის მოცულობა - 25 სთ. სწავლება 4 სემესტრი - 1 სემესტრი 15 სასწავლო კვირა; 4-სასესიო კვირა. სპეციალობის საერთო საგნები - 65 კრედიტი; ძირითადი სპეციალობის საგნები - 45 კრედიტი არჩევითი საგნები - 10 კრედიტი.
სწავლების ენა	ქართული
სწავლის ღირებულება	1500 ლარი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	
<p>სამაგისტრო პროგრამაზე მიღების წინაპირობაა თეატრალური ხელოვნების ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული ხარისხი. გარდა ამისა დაიშვებიან ბაკალავრის ხარისხის მქონე პირნი, რომელთაც გავლილი აქვთ minor-პროგრამა თეატრალური მიმართულებით, ზემოაღნიშნული მაგისტრან-ტობის კანდიდატები აბარებენ მხოლოდ შიდა საუნივერსიტეტო შემოქმედებით ტურს: წერიითი დავალება - ექსპლიკაცია საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე (100 ქულიანი სისტემით).</p> <p>სხვა სპეციალობის კურსდამთავრებულები: წერიითი დავალება - ექსპლიკაცია საგამოცდო კომისიის მიერ შეთავაზებულ თემაზე და თეატრის ისტორია (შეფასება - 100 ქულიანი სისტემით, საიდანაც ექსპლიკაცია 0 - 90 ქულა; თეატრის ისტორია 0 - 10 ქულა).</p>	
სწავლის გაგრძელება	მაგისტრს სწავლა შეუძლია გააგრძელოს მესამე საფეხურზე დოქტორანტურაში
პროგრამის ხელმძღვანელი	ვლადიმერ ბიბილეიშვილი - პროფესორი, სასცენო ხელოვნების დეპარტამენტის უფროსი, ტელ: 555-52-39-64.